ნორმატიული აქტების შემუშავების პროცესში საჯარო-კერძო დიალოგის ხარისხის შეფასება 2021-2022 წწ.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა შეისწავლა 20 ნორმატიული აქტი: 16 - ცენტრალურ დონეზე და 4 - მუნიციპალურ დონეზე. შეფასებულ აქტებს შორის, ორივე შემთხვევაში, ჭარბობდა საშუალო ხარისხის საჯარო-კერძო დიალოგის მქონე აქტები.



კანონებსა და კანონქვემდებარე აქტებს შორის ყველაზე მაღალი შეფასება დაიმსახურეს „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ კანონმა და „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიამ 2021-2025 წლებისათვის და სტრატეგიის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმამ“.

*ძირითადი მიგნებები **ცენტრალურ** დონეზე:*

- აქტების უმეტესობის (12) მომზადებაში კერძო სექტორი იყო ჩართული, თუმცა განსხვავებული ხარისხით.
- თითქმის ყველა აქტზე ჩატარდა საჯარო განხილვა, თუმცა კერძო სექტორის აზრით, რიგ შემთხვევაში, ის იყო ფორმალური, ხოლო უკუკავშირი - შაბლონური.
- საჯარო უწყებების დიდმა ნაწილმა აქტების პროექტები ვებგვერდებზე გამოაქვეყნა, თუმცა აღნიშნული მექანიზმი კომენტარების მისაღებად არ იყო ეფექტიანი.
- საჯარო უწყებები პირველად პროექტებს, ძირითადად, კერძო სექტორის მონაწილეობის გარეშე ამზადებდნენ, თუმცა ეყრდნობოდნენ მანამდე მათგან მიღებულ ინფორმაციას.
- კერძო სექტორის აქტიური მონაწილეობით მომზადებული აქტები მნიშვნელოვნად შეიცვალა მათი კომენტარების შედეგად.
- არასამთავრობო სექტორის აქტიურ მონაწილეობას დადებითი გავლენა ჰქონდა ინფორმაციის გავრცელებაზე და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობაზე.
- რეგულირების გავლენის შეფასება (RIA) მომზადდა მხოლოდ სამ კანონზე და ერთ კანონქვემდებარე აქტზე.
- შეფასებული კანონპროექტების მომზადების ვადა მერყეობს 1-დან 10 წლამდე. კერძო სექტორის ნაწილის მოსაზრებით, ხანგრძლივი პროცესი არაეფექტიანია.

რეკომენდაციები:

- აუცილებელია აქტების პროექტების პროაქტიულად გავრცელება - დაინტერესებულ მხარეებთან დოკუმენტაციის დაგზავნა და აქტიური კომუნიკაცია.
- მნიშვნელოვანია ანალიტიკური დოკუმენტების მომზადება და გასაჯაროება.
- სასურველია აქტების პირველადი სამუშაო ვერსიების მომზადებაში კერძო სექტორის ჩართულობა.
- კერძო სექტორის ჩართულობის ზრდისათვის, აუცილებელია, აქტების მომზადების პროცესის ეფექტიანად წარმართვა, შედეგზე ორიენტირებული საჯარო განხილვების ჩატარება და კომენტარებზე არგუმენტირებული უკუკავშირი.
- ინფორმაციის გავრცელების და აქტების პროექტების დახვეწისთვის, აუცილებელია, ბიზნეს სექტორთან ერთად, არასამთავრობო სექტორის აქტიური მონაწილეობაც.
- მნიშვნელოვანი ეკონომიკური გავლენის მქონე აქტების შემთხვევაში, აუცილებელია RIA-ს მომზადება, კანონით ვალდებულების მიუხედავად.

ძირითადი მიგნებები ***მუნიციპალიტეტების დონეზე:***

- დაინტერესებული მხარეები არ იყვნენ საკმარისად ინფორმირებული საბიუჯეტო ციკლის და საჯარო უწყებების კომპეტენციების შესახებ.
- დაინტერესებული მხარეების უმეტესობას უჭირს ვებგვერდებზე ბიუჯეტის პროექტების მიგნება.
- ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე, ძირითადად, შეხვედრები იმართებოდა მოსახლეობასთან და ნაკლებად ბიზნესთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

რეკომენდაციები:

- დაინტერესებული მხარეების დიალოგში მონაწილეობის ხარისხის ზრდისთვის აუცილებელია, ადგილობრივი თვითმართველობების მხრიდან ეფექტიანი კომუნიკაცია.
- აუცილებელია ბიუჯეტის მომზადების ეტაპებისა და ვადების შესახებ ინფორმაციის პროაქტიულად გავრცელება და ვებგვერდზე მათი ხელმისაწვდომობის გამარტივება.
- აუცილებელია, მოსახლეობის და კერძო სექტორის ჩართულობის ზრდა ეკონომიკური განვითარების მიმართულებით განსახორციელებელი პროექტების დაგეგმვაში.
- აუცილებელია დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლება ადგილობრივი თვითმართველობის კომპეტენციების შესახებ.

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა

შენიშვნა: ამ პუბლიკაციის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მიერ, USAID-ის მეშვეობით გაწეული დახმარების შედეგად. მასში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ-ს მთავრობის პოზიციას.